

ორგანიზაცია *სოლიდარული მსოფლიო* რ. გ. (რეგისტრირებული გაერთიანება) *ველთლადენტან* (მსოფლიო მაღაზია) ერთად გერმანიის ქალაქ აუგზბურგში 1980 წელს დაარსდა. ორივეს სურვილია შესაძლებლობების ფარგლებში აუგზბურგში საზღვრებზე მიმოსვლისა და გადაადგილების სოლიდარული ქმედებით უზრუნველყოფის შეთავაზება. ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო სამუშაოს, სამართლიანი ვაჭრობისა და უნარიანი დევნილებისათვის ხელშეწყობას. ანხორციელებს ცალკეულ პროექტებს, როგორც აუგზბურგში, ასევე საზღვარგარეთ.

ორგანიზაცია *სოლიდარული მსოფლიო* ქალაქ აუგზბურგში ინტენსიურად გეგმავს ღონისძიებებსა და დღესასწაულებს, მათ შორის აღსანიშნავია ნოემბერში გამართული – აფრიკული კვირეული, გაზაფხულზე წარმოდგენილი – აზიური დღეები, ზაფხულში სამშვიდობო აქცია მსოფლიოს კარნავალთან ერთად და სექტემბრის თვეში სამართლიანობისათვის მიძღვნილი კვირეული, ასევე სთავაზობს საზოგადოებას ცალკეულ სხდომებს, კონცერტებს, დისკუსიებსა და მოხსენებებს.

განათლებისა და ღია საზოგადოების თანადგომობით ინფორმაციას აწვდის ქვეყანაში არსებული არასამართლიანი ინსტიტუციებისა და ინტერნაციონალური პოლოტიკის შესახებ და აქვე, სთავაზობს მომავალში განსახორციელებელ შესაძლო ცვლილებებს. გარდა ამისა, გაერთიანება აქტიურად არის ჩართული ეკონომიკის განვითარებაში.

ორგანიზაცია *სოლიდარული მსოფლიო* რ. გ. (რეგისტრირებული გაერთიანება) მიჩნეულია აუგზბურგის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ერთიანი მოღვაწეობის ცენტრად.

ორგანიზაცია გვთავაზობს:

- ჩრდილოეთისა და სამხრეთის არქივს თემებზე ერთიანი მსოფლიო
- პედაგოგიურ მასალებს თემაზე – გლობალური სწავლება

- დახმარებას სკოლებისათვის
- აუგზბურგში სამართლიანი ვაჭრობისა და საკონსულტაციო მომსახურების სფეროს ხელმძღვანელობას
- კოლონიური ექსკურსია აუგზბურგის გავლით

ორგანიზაცია სოლიდარული მსოფლიო რ.გ. (რეგისტრირებული გაერთიანება) არის თვითმყოფადი და დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიებისგან. მათი მოღვაწეობა საზოგადოებრივი და სამსახურებრივი დახმარების გაწევას. გაწეული სამსახურის დიდი ნაწილი ფინანსდება შემოწირულობით. ზოგიერთ პროექტს საგანმანათლებლო სისტემაში შემწეობის სახით განვითარების ორგანიზაციები აფინანსებენ, გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს ქალაქი აუგზბურგი.

ორგანიზაცია სოლიდარული მსოფლიო რ. გ.
ვაისე გასე 3. (Weiße Gasse 3)
ტელ.: 0821/ 3 72 61
ფაქსი: 0821/ 15 67 40
ელ.ფოსტა: wsw@werkstatt-solidarische-welt.de
ვებ. გვერდი: www.werkstatt-solidarische-welt.de